პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 51 (4561)

1972 წ. 14 მარტი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## თოთხმეტ კაცში — შვიდი გამარჯვებული



ვ. სანეევი.



ა. მოშიაშვილი.



რ. შმიდტი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

ასეთი იყო გდრ-ის წარმომადგენელთა მოსავალი გრენობლში, სადაც ევროპის მძლეოსანთა ზამთრის III ჩემპიონატი გაიმართა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები მიუნხენის ოლიმპიადისთვის ყველაზე ინტენსიურად და ნაყოფიერად რომ ემზადებიან, ეს ამ სტარტებმაც ნათლად დაადასტურა. გამარჯვებული გუნდიდან ყველაზე დიდ წარმატებას მაინც რ. შმიდტმა მიაღწია, რომელმაც 190 სმ სიმაღლე გადალახა და მსოფლიო მიღწევა დაამყარა. ბირთვის კვრაში ევროპული მიღწევით (20,67 მ) I ადგილი დაისაკუთრა ჰ. ბრიზენიკმა. ჭოკით მხტომელთა საინტერესო ბრძოლა მოიგო მისმა თანაგუნდელმა ვ. ნორდვიგმა, რომელმაც 540 სმ სიმაღლე დაძლია. 50 მეტრზე რბენაში ბადალი არ ჰყავდა რ. შტეკერ-მაისნერს — 6,25 წამი (ჩემპიონატების ისტორიაში მორბენალთა შედეგები პირველად აღინუსხებოდა წამის მეასედის სიზუსტით). გ. ჰოფმაისტერმა 800 მეტრზე რბენაში ჩემპიონატების მიღწევით (2.04,82) გაიმარჯვა.

სსრ კავშირის მძლეოსნებმა გუნდურ ჩათვლაში საფეხურით უკან დაიხიეს. I ჩემპიონატში (ვენა) მათ ოქროს 10 მედალი მოიპოვეს, შემდეგ (სოფია) — 8, ახლა კი პროგრამის 23 სახეობაში ოქროს 5, ვერცხლის 8 და ბრინჯაოს 3 მედალს დასჯერდნენ. მაგრამ საგანგაშო მაინც არაფერი აქვთ: ამ შეჯიბრების სამი მსოფლიო მიღწევიდან ორის ავტორები ხომ საბჭოთა მძლეოსნები ვ. სანეევი (სამხტომი — 16,97 მ) და თ. პანგელოვა (1500 მეტრზე რბენა — 4.14,6) არიან. ამ დისტანციაზე II ადგილი პანგელოვას თანაგუნდელ ლ. ბრაგინას დარჩა — 4.18,8.

ასევე ორმაგი გამარჯვება იზეიმეს 3000 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის სტაიერებმა, რიგელმა ი. გრუსტინშმა (8.02,85) და მოსკოველმა ი. ალექსაშინმა (8.03,20).

უაღრესად დაძაბული გამოდგა 800 მეტრზე მორბენალ ვაჟთა ტურნირი, სადაც ჩემპიონის ტიტული ჩეხოსლოვაკიელმა ჯ. პლახიმ დაისაკუთრა — 1.48,84, II ადგილზე გასულმა ი. ივანოვმა სსრ კავშირში სეზონის საუკეთესო შედეგს (1.49,05) მიაღწია.

50 მეტრზე თარჯრბენში ვაჟთა შორის სსრ კავშირიდან ა. მოროზოვი და ა. მოშიაშვილი ასპარეზობდნენ. წინასწარ ტურნირში მოშიაშვილმა 6,65 წამი აჩვენა, ხოლო მოროზოვმა — 6,73. ნახევარფინალში ორივე გავიდა, მაგრამ ფინალის გზა მხოლოდ თბილისელმა ოსტატმა გაიკვლია და გადამწყვეტ ბრძოლაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ესეც წინსვლაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰელსინკის ევროპულ ჩემპიონატში (აგვისტო) მოშიაშვილი IV ადგილზე გავიდა. გრენობლში მას ფრანგმა დრიუმ და დასავლეთგერმანელმა შუმანმა აჯობეს.

იოლად გაიმარჯვა ნ. ჩიჟოვამ ბირთვის კვრაში — 19,41 მ (ეს შედეგი წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში), ხოლო ვ. ბორზოვმა 50 მეტრზე რბენა მოიგო — 5,75. ა. კორნელიუკი III ადგილზეა.

„მოსიმაღლეთა" დუელი დიდხანს გაგრძელდა. საბოლოოდ გამარჯვება, როგორც შარშან, ახლაც უნგრელ ი. მაიორს დარჩა — 224 სმ, რაც ბრუმელის მსოფლიო მიღწევაზე სანტიმეტრით ნაკლებია. ვილნიუსელი კ. შაპკა და ლენინგრადელი ი. ტარმაკი მაიორს 2 სანტიმეტრით ჩამორჩნენ.

მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებმა — გფრ-ის მძლეოსნებმა საინტერესო ბრძოლაში მოიგეს ესტაფეტები ქალებისთვის 4×2 და ვაჟებისთვის 4×4 წრეზე (წრე — 180 მ). ვაჟთა ტურნირში მათ ღირსეული მეტოქეობა მხოლოდ სსრ კავშირის კვარტეტმა გაუწია: მეორე ეტაპზე ივანოვი დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა მონაპოვარი ველარ შეინარჩუნეს და II ადგილს დასჯერდნენ.

ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში ბ. როზენმა (გფრ) ბოლო ცდაზე 658 სანტიმეტრი დაძლია და გაიმარჯვა კიდეც.

## ზამთრის III პირველობის პრიზიორები

## ჩემპიონი ჩემპიონად დარჩა

ტაშკენტი, 11 მარტი. ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა ზედიზედ მეორე წელია მოიხვეჭა სსრ კავშირის უძლიერესი კროსმენის სახელი: „პახტაქორის" სტადიონისა და მეზობლად მდებარე ი. გაგარინის სახელობის პარკის ხეივნებში 12-კილომეტრიანი ტრასა 36 წუთსა და 29,8 წამში გაირბინა.

ჩემპიონის გვერდით საპატიო კვარცხლბეკზე დადგნენ ალმაათელი ა. ბადრანკოვი (36.34,0) და კრასნოდარელი ი. შოპშა (36.34,4).

8-კილომეტრიანი მანძილის ფინიშთან პირველი მიიჭრა ვ. აბდულინი — 24.08,0.

3 კილომეტრზე ქალთა რბენაში პირველი იყო უფელი ს. ვასკოვა — 9.46,8. 22 წლის კიეველმა მძლეოსანმა ვ. ფილიპენკომ სტარტი პირველთანრიგოსნის როლში აიღო, ფინიშზე კი ბრინჯაო და სპორტის ოსტატის წოდება მოიხვეჭა — 9.51,6. ამ გარბენის შემდეგ ასევე ოსტატი გახდა ალმაათელი ოსტატობის კანდიდატი ლ. გავრილოვა (9.50,6), რომელმაც II ადგილი დაიკავა.

2-კილომეტრიან კროსში გაიმარჯვა ივანოველმა ო. დვირნამ — 6.15,2.

## [illegible]-72

● კალვი, 10 მარტი. გდრ-ისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდების აქ გამართული მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 369,80:366,55. როგორც ცნობილია, გერმანელები სავალდებულო პროგრამის შესრულებისას დაწინაურდნენ (182,70:181,00) და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. სავალდებულო პროგრამით ასპარეზობა მოიგო ევროპის ექს-ჩემპიონმა, ბერლინელმა სტუდენტმა კ. იანცმა. მან ნებისმიერ პროგრამაშიც მაღალი ოსტატობა გამოავლინა, საბოლოოდ 75,75 ქულა დააგროვა და I ადგილიც დაიკავა. II ადგილზეა ვორონეჟელი ლ. ბურდა (74,80), ხოლო III — ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, ვიტებსკელი თ. ლაზაკოვიჩი (74,50).

● პლანიორნაია, 11 მარტი. მოსკოვის მახლობლად მდებარე ამ დაბაში გაიმართა საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი სათხილამურო სპორტში. დიდი წარმატებით გამოვიდა ოლიმპიური გუნდის წევრი, ლენინგრადელი ნ. შებალინა, რომელმაც 5 კილომეტრზე რბოლაც (16.54) მოიგო და 10 კილომეტრზეც (35.28). 15 კილომეტრზე შეჯიბრებაში ყველას აჯობა ესტონელმა პირველთანრიგოსანმა, 22 წლის ი. კულმა — 50.[illegible]. 30-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა მოსკოველმა [illegible]. მაქსიმოვმა — 1:40.25.

● ალმა-ათა, 11 მარტი. ჩიმბულაკის მიდამოებში სტარტი აიღო სსრ კავშირის სამთომთხილამურეთა პირად-გუნდურმა ჩემპიონატმა. პირველ დღეს გაიმართა ვაჟთა სწრაფდაშვება (ტრასის სიგრძე 2950 მ, სიმაღლეთა სხვაობა 820 მ, 25 კარი) გაიმარჯვა საპოროს ოლიმპიადის მონაწილემ, ლენინგრადელმა ს. გრიშჩენკომ — 2.02,44. II ადგილზეა ა. გოლუბკოვი (რსფსრ-2) — 2.03,09, ხოლო III — ვ. სემიონოვი (ყაზახეთი) — 2.03,27.

● კიროვი, 12 მარტი. ლენინგრადელი ნინა სტატკევიჩი და ალმაათელი ვ. ტროიცკი ზედიზედ მესამე წელია დაეუფლნენ უმაღლეს ჯილდოებს მოციგურავეთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ს. კიროვის სახელობის პრიზზე. სტატკევიჩის შედეგი მრავალჭიდში 191,216 ქულას შეადგენს, ტროიცკისა — 177,550 ქულას. შეჯიბრებაში სსრ კავშირის წარმომადგენელთა გარდა პოლონეთის, უნგრეთის, გდრ-ის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოციგურავეები მონაწილეობდნენ, სულ — 56 სპორტსმენი.

## უპირატესობა დაამტკიცეს

კალგარი, 12 მარტი. „სტემპიდ კორალის" სპორტის სასახლის ტრიბუნები კვლავ მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა აავსო — ისინი მოვიდნენ ყინულზე სპორტული ცეკვების ოსტატთა გამოსვლების სანახავად.

გეტებორგის ევროპულ ჩემპიონატში უსამართლოდ დაკარგული ოქროსთვის მოსკოველთა დუეტმა — ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა აქ „შური იძიეს": მათ მართლაც დიდებულად იასპარეზეს და სავალდებულო პროგრამის მოგების შემდეგ ნებისმიერ კომპოზიციაშიც ალტაცება მოჰგვარეს მაყურებელს. პახომოვამ და გორშკოვმა მესამედ მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონთა წოდება. ამ დუეტმა საბოლოოდ 514,6 ქულა დააგროვა (ადგილების ჯამი — 14).

ვერცხლის მედლებს დაეპატრონენ გფრ-ის წარმომადგენლები, ევროპის ჩემპიონები ა. და ე. ბუკები — 512 ქულა (ადგილების ჯამი — 17).

III ადგილზე გავიდნენ ამერიკელები ჯ. შვომაიერი და ჯ. სლადკი.

საბჭოთა ფიგურული ციგურაობის ოსტატებმა ყველაზე მეტი მედალი მოიხვეჭეს: ორი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო.

* * *

სურათებზე: მსოფლიო ჩემპიონები — ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი; ო. ნეპელა; ბ. შუბა.







# ჩემპიონებსაც გაუჭირდათ



ეს ტურნირი ფაქტიურად ორ ეტაპად ჩატარდა. თავდაპირველად სსრ კავშირის უძლიერესმა იუნიორმა „კლასიკოსებმა" თავიანთი სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოების პირველობებში გაარკვიეს ურთიერთობა. იმათ, ვინც თავი გამოიჩინა შინაურებში, საკავშირო პირადი ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღეს. ცხადია, საასპარეზოდ საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ იყვნენ ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები, უძლიერესი იუნიორები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

ტერნოპოლის სპორტის სასახლეში ოთხი დღის მანძილზე არ შემწყდარა ცხარე ბრძოლები და მხოლოდ ამის შემდეგ დაზუსტდა ათი ლაურეატის ვინაობა. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაისაკუთრეს: ი. ხატუნოვმა (დონის როსტოვი), კ ახმედოვმა (ალმა-ათა), ლ. გრუხინმა (კიროვი), ა. პრილუცკიმ (ხარკოვი), ა. ბიკოვმა (ალმა-ათა), ა. ონიშჩენკომ (ვოროშილოვგრადი), თ. კიკნაძემ (თბილისი), ვ. ნეჩაევმა (მინსკი), ჰ. პილუსტემ (ტალინი), ა. კოლჩინსკიმ (კიევი).

როგორც ხედავთ, ჩემპიონის ტიტული 88 კგ წონითს კატეგორიაში მოიხვეჭა ჩვენმა თანამემამულემ, ვარშაველმა მსოფლიო ჩემპიონმა თ. კიკნაძემ. კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირი არაფერია — მსოფლიო ჩემპიონმა უნდა მოიპოვოს კიდეც პირველობა საკავშირო ტურნირში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მონაწილეთა სიძლიერეს, მათს მონდომებასა და აზარტს, ცხადი გახდება რაოდენ ძნელი იყო წარმატება ამ შეჯიბრებაში.

მსოფლიო ჩემპიონმა შვიდჯერ იჭიდავა მანამ, სანამ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდოდა, მაგრამ მარცხს ვერც ის გადაურჩა. ერთი ბრძოლა დუშანბელ რიაზანოვთან კიკნაძემ წააგო და ფინალისკენ კზის გაკაფვა „ბ" ჯგუფიდან მოუხდა. იგი ხელახლა შეხვდა თავის მძლეველს, ოღონდ უკვე ფინალში. მსოფლიო ჩემპიონმა დამაჯერებელი რევანში აიღო. რიაზანოვი II ადგილზე დარჩა.

77 კგ წონითს კატეგორიაში თბილისელმა თ. ლეჟავამ II საპრიზო ადგილი დაიკავა. თავისთავად არც ეს შედეგია ურიგო, მაგრამ ლეჟავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავისი მებრძოლი სულითა და აგრესიული სტილით, გამარჯვებისადმი შეუნელებელი სწრაფვითა და გამბედაობით მან სპეციალისტთა საერთო მოწონება და აღიარება დაიმსახურა. ის, რაც ლეჟავაზე ითქვა და დაიწერა, აღემატება კიდეც მეორე პრიზიორის დონეს.

ქართველმა ოსტატმა ერთადერთი ბრძოლა წააგო, ისიც მსოფლიო ჩემპიონ ონიშჩენკოსთან. მაგრამ იგი ვალში არ დარჩენილა სახელოვან მეტოქესთან ურთიერთობაში. ამ ტურნირში ლეჟავასა და ონიშჩენკოს შორის თანაბარი ანგარიშია: ლეჟავამ პირველ ტურში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი, ამ უკანასკნელმა კი რევანში ფინალში აიღო.

ასევე ახლოს იყო წარმატებასთან რ. გამბაროვი (52 კგ), რომელიც საბოლოო ჯამში II საპრიზო ადგილს დასჯერდა. მას მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონმა ახმედოვმა გაუსწრო. მეტოქეები აქაც ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. თავდაპირველად, ტურნირის დასაწყისში, უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონის მხარეს იყო. ფინალში გამბაროვმა თავგანწირვით იბრძოლა, მაგრამ ვერაფრით გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა. ვერც მსოფლიო ჩემპიონმა დააკლო რამე თბილისელს, მაგრამ მისთვის ფრეც უკვე საკმარისი იყო: ეს გამარჯვებას ნიშნავდა.

ორიოდე სიტყვა იმათზე, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენს მოჭიდავეთა წარმატებაში. ესენი მათი აღმზრდელები არიან, ცნობილი მწვრთნელები გ. ბარბაქაძე და კ. შეყრილაძე, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონი აღზარდეს, და ვ. მაისურაძე — თ. ლეჟავასა და რ. გამბაროვის აღმზრდელი. კიკნაძე „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელია, ლეჟავა — „დინამოსი", გამბაროვი კი არმიის სპორტული კლუბისა. კიკნაძე და ლეჟავა, ამავე დროს, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობენ.

• • •

სურათზე: საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ფ. კავთიაშვილი წარმატებას ულოცავს ჩემპიონატის პრიზიორებს. მარცხნიდან — ფ. კავთიაშვილი, რ. გამბაროვი, თ. ლეჟავა და თ. კიკნაძე. მ. ზარგარიანის ფოტო.

# ბოლო ტურის წინ

## ... სსრ კავშირის დედაქალაქში

მოსკოვი, 13 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკეთა საკავშირო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის IV ტურში საქართველოს წარმომადგენლები ლატვიელებს შეხვდნენ. ე. გუფელდმა ძალიან სუსტად ითამაშა და წააგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალთან. რ. ჯინჯიხაშვილის პარტია მ. პეტკევიჩთან, რომელმაც ამ დღეს ა. გიპსლისი შეცვალა, გადაიდო. ე. უბილავა დამარცხდა ი. კლოვანთან. ს. ჩეჩელიანმა მოუგო ა. შმიტს. ბ. გურგენიძემ გადადო პარტია ა. ვიტოლინშთან. დ. გედევანიშვილმა და ვ. ვეფხიშვილმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები მ. ვერნანთან და ვ. ნეიმანისთან. ც. კობაიძემ დაამარცხა ვ. როჟლაპა. თ. ხუგაშვილმა მოუგო ბ. ვილერტეს. თ. კაჭარავამ გადასდო პარტია ლ. ტაგერთან, ხოლო მ. წერეთელმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბ. ვილერტესთან. გ. ზაიჩიკმა დაამარცხა ი. კივლანი. ამრიგად, ანგარიშით 5,5:3,5 დაწინაურდნენ საქართველოს წარმომადგენლები (3 პარტია გადადებულია).

ამავე ტურში მოსკოვისა და რსფსრ-ს გუნდების შეხვედრის ანგარიშია 2,5:1,5 (8 პარტია გადადებულია), ლენინგრადისა და უკრაინის მატჩისა — 4:4 (4 პარტია გადადებულია).

გადადებული პარტიების დამთავრებისას საქართველო — რსფსრ-ს გუნდების მატჩის საბოლოო ანგარიში გახდა 6,5:5,5 რსფსრ-ს სასარგებლოდ. გუფელდმა მოუგო პოლუგაევსკის, ვეფხიშვილმა — ე. დრაგომარეცკის, კობაიძემ წააგო ვ. კოზლოვსკაიასთან, ხოლო ხუგაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რ. ბილუნოვასთან. ლენინგრადელებმა მოუგეს მოსკოველებს — 6,5:5,5.

საქართველო — ლატვიის მატჩის გადადებული პარტიების დამთავრებისას ჯინჯიხაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პეტკევიჩთან. გურგენიძემ წააგო ვიტოლინშთან, ხოლო კაჭარავამ — ტაგერთან. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 6:6. მოსკოველები აგებენ რსფსრ-ს წარმომადგენლებთან — 5:6 (1 პარტია გადადებულია). ასეთივე ანგარიშით უგებენ ლენინგრადელები უკრაინის გუნდს. უკრაინა — მოსკოვის მატჩის ანგარიშია 4:8.

დღეს საღამოს ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვი — საქართველო, უკრაინა — რსფსრ, ლენინგრადი — ლატვია. მდგომარეობა კი ჯერჯერობით ასეთია: მოსკოვი — 27,5 ქულა (1 გადადებული პარტია), რსფსრ — 27 (2), უკრაინა — 26,5 (1), ლენინგრადი — 22 (1), საქართველო — 22, ლატვია — 16 (1).

თ. გიორგაძე,
ოლიმპიადის მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათზე: ბრძოლის ველი.
ვ. სავოსტიანოვის ფოტო
(საკდესი).

## ... ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში

თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ფინიშის მოახლოებასთან ერთად ბრძოლა თანდათან გამწვავდა. ამას ადასტურებს XI ტური, რომელშიც არც ერთი პარტია არ დამთავრებულა ყაიმით. გ. კალატოზიშვილმა მოუგო შეჯიბრების ლიდერს პ. შაქარიანს, გ. მეხრიშვილმა — შ. ჭრელაშვილს, მ. ფრიდინსკიმ — კ. ჩიგოგიძეს, რ. კაპანაძემ — ე. კუშჩიანს, გ. ციხელაშვილმა — გ. ბალაიანს, დ. ჯანოევმა — მ. ლევინს.

XII ტურში ზედიზედ მეორედ დამარცხდა ლევინი, ამჯერად — შაქარიანთან. ყაიმით დამთავრდა ს. წეგრელიშვილ — ბალაიანისა და ციხელაშვილ — კუშჩიანის შეხვედრები. ჩიგოგიძემ მოუგო კაპანაძეს, კალატოზიშვილმა — მეხრიშვილს. ფრიდინსკი — ჭრელაშვილის პარტია გადაიდო.

ბოლო ტურის წინ I ადგილზე პრეტენზიას აცხადებს, სულ ცოტა, 6 მოჭადრაკე. ბედი გაიფანტება დღეს, გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ.

ა. ცეხანელი.



# სამი პრიზიორი საქართველოდან

ლენინგრადი, 13 მარტი. გუშინ აქ დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპული ჩემპიონატი ჭაბუკებსა და იუნიორთა შორის.

ჭაბუკთა ტურნირში თავი გამოიჩინეს ელექტროსტალელმა ი. კრასნოვმა (ქვესაშუალო წონა), თბილისელმა რ. ჭიკაიძემ (ქვემძიმე) და მოსკოველმა მ. გრიფმა (მძიმე): მათ წილად ხვდათ ვერცხლის მედლები. ბრინჯაოს ჯილდოები დაიმსახურეს ელცელმა ა. ევსეევმა (მსუბუქი), მოსკოველმა მ. ილინიჩმა (ქვესაშუალო), თბილისელებმა დ. ხაბულიანმა (საშუალო) და ნ. ელიბაშვილმა (ქვემძიმე).

წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ქვეყნის იუნიორებმაც. ოქროს მედალი მოიგო მაიკოპელმა ვ. ნევზოროვმა (ქვესაშუალო). ვერცხლის ჯილდოები გადაეცათ მოსკოველ ა. ვოლოსოვს (საშუალო) და კრასნოიარსკელ ლ. მალიუტინს (მძიმე), ბრინჯაოსი კი ჩელიაბინსკელ გ. ივშინსა და კრასნოიარსკელ ნ. პერსიანოვს (ორივე — მსუბუქი), აგრეთვე ხარკოველ ო. რისენკოვს (საშუალო).

წონითი კატეგორიების მიხედვით იუნიორთა შორის ჩემპიონები გახდნენ: მ. ტისო (საფრანგეთი), ვ. ნევზოროვი (სსრ კავშირი), რ. ზარგესჰაიმერი (გფრ), ქ. ვალასი (ავსტრია), ლ. მაკპაილი (ბელგია).

# კანდიდატები იმარჯვებენ

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მოცურავეთა ტურნირს, რომელიც ამას წინათ ერევნის 25-მეტრიან აუზში გაიმართა, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზის წლევანდელი გათამაშების ფინალის საგზურების ყველაზე ნაღდი კანდიდატები უნდა დაესახელებინა. კანდიდატები იმიტომ, რომ გადამწყვეტ სიტყვას ცურვის საკავშირო ფედერაცია იტყვის, როცა ზონალურ შეჯიბრებათა შედეგებს მიიღებს და გადასინჯავს.

ერევანში მოზრდილები გამოდიოდნენ. ასპარეზობა პირადი იყო და მასში რესპუბლიკური შეჯიბრებების შედეგების მიხედვით შერჩეული მოცურავეები მონაწილეობდნენ.

საქართველოს სპორტსმენებმა მეტოქეებს აშკარად აჯობეს კომპლექსურ, გულაღმა, თავისუფალი და ბრასის სტილით მოცურავე ვაჟთა და გულაღმა მოასპარეზე ქალთა შეჯიბრებებში. სამაგიეროდ, თავისუფალი სტილით ქალთა ტურნირებში აზერბაიჯანის სპორტსმენებს ჰქონდათ უპირატესობა, ბრასით — სომხეთის ქალებს.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან განსაკუთრებით კარგად გამოჩიდნენ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები, თბილისელები თ. ლეკვეიშვილი, ი. ლისეცკი და ბათუმელი ვ. კრასკო.

1500 მეტრზე ცურვაში სსრ კავშირის რეკორდსმენმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, დინამოელმა ლისეცკიმ ამ დისტანციაზე 17.20,2 აჩვენა და 1.13,3 მოუგო ბათუმელ სპორტის ოსტატ ნ. ზემლიანუხინს („ბურევესტნიკი"), რომელმაც II ადგილი დაიკავა. შემდეგში ლისეცკიმ 200 მ თავისუფალი სტილით 2 წუთსა და 2,2 წამში გაცურა და სპორტის ოსტატის ნორმატივს 2,3 წამით გადააჭარბა, ხოლო ბაქოელ ვ. კრივცოვს 1,1 წამი მოუგო (ამ სახეობაში III, IV და VI ადგილებზე გავიდნენ საქართველოს მოცურავეები ა. კლიმენკო — 2.06,9, ვ. გონჩაროვი — 2.09,1 და ა. მლინაში — 2.13,5). 400 მეტრზე შეჯიბრებაში ლისეცკის მაჩვენებელი (4.19,4) ოსტატის ნორმატივს 8,6 წამით სჯობს. ამ დისტანციის სტარტზე გამოსული ექვსი სპორტსმენიდან 3 საქართველოდან იყო და სამივემ საპრიზო ადგილები დაისაკუთრა. მეორე კახლდათ დინამოელი კრასკო — 4.35,9, III — კლიმენკო (თბილისის განათლების განყოფილება) — 4.38,4.

კრასკოსთვის ძირითადი სახეობა გულაღმა ცურვაა და აქ პირველობაც არავის დაუთმო. 100 მეტრზე შეჯიბრებაში მან 1,1 წამი მოუგო ერევნის დინამოელ ვ. პალკინს, რომელმაც 1.03,5 აჩვენა. 200-მეტრიანი დისტანციის გაცურვას კრასკომ 2.17,3 მოანდომა და იმავე პალკინს ახლა 3,5 წამით აჯობა.

ასევე ორი გამარჯვება იზეიმა სსრ კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, დინამოელმა თ. ლეკვეიშვილმა. ქალთა შორის 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში საქართველოდან ოთხი სპორტსმენი იბრძოდა და ბაქოელ ტ. მონასტირს ოთხივემ აჯობა. პირველობა ლეკვეიშვილს დარჩა — 1.10,2. ეს სპორტის ოსტატის ნორმატივზე 2,3 წამით უკეთესია. შემდეგ დისტანციაზე მისი მთავარი მეტოქენი თანაგუნდელები ნ. სუშნიკოვა („დინამო") და ტ. შელესტი („განთიადი") იყვნენ. თინათინმა ამჯერადაც იმარჯვა: 200 მ ყველაზე სწრაფად გაცურა — 2.30,7.

ოლიმპიელთა სწრაფი წამები გვაფიქრებინებს, რომ ლეკვეიშვილიც, ლისეცკიცა და კრასკოც მიუნჰენის საგზურებს მიიღებენ.

მაგრამ საქართველოს გუნდისთვის მარტო ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს როდი მოუტანიათ საპრიზო ადგილები. ქალთა შორის 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობა ბათუმელმა თ. დოლიძემ („განთიადი") მოიგო — 11.31,6. 100 მეტრზე ბატერფლაით ტურნირი ბათუმის სპარტაკელ მ. გორბუნოვას (1.10,6) გამარჯვებით დამთავრდა.

სხვადასხვა სახეობაში II და III ადგილები საქართველოს შემდეგმა სპორტსმენებმა მოიპოვეს: დოლიძემ, ზემლიანუხინმა, ა. იოაკიმიდიმ (თბილისის „დინამო"), ვ. გოგოლევმა (თბილისის „განთიადი"), ვ. ონუფრიენკომ (თბილისის „შრომითი რეზერვები"), ნ. სუშნიკოვამ, მ. ცინცაძემ, ი. კირდიანოვმა, ა. იევლევმა, ვ. გონჩაროვმა (ყველა — თბილისის „დინამო").

ტურნირმა მოლდავეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენთა ტექნიკური მაჩვენებლების ზრდაც დაადასტურა. მაგალითად, ერევნელ ა. რუდენკოს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა — 1.03,2. 200 მეტრზე ამავე სტილით ტურნირში ბაქოელმა ვ. სოროკინამ იმარჯვა — 2.20,9. მოლდავეთის გუნდის წევრმა ი. სუდაკოვმა ოთხი დისტანცია მოიგო — 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით (1.02,1 და 2.23,8), 200 და 400 მეტრზე კომპლექსური (2.23,2 და 5.03,4) ცურვა. ბრასით ცურვაში საუცხოოდ მომზადებულნი აღმოჩნდნენ ერევნელები ი. საგათელიანი და ა. ბატიშჩევი. ამ უკანასკნელმა 100 მეტრზე შეჯიბრებაში სომხეთის რეკორდი დაამყარა — 1.08,3.

რაც მთავარია, დასახელებულმა გამარჯვებულმა სპორტსმენებმა ოთხივე რესპუბლიკიდან სპორტის ოსტატის ნორმატივებს გადააჭარბეს.

• • •

საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის მოზარდებს „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის გათამაშების ფინალში მონაწილეობისთვის ტურნირი ბაქოში ჰქონდათ.

რ. მაღრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის თასზე

# ბომბარდირი ფორმაში შედის

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 12 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 3:0 (2:0).

„დინამო“: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, კუტივაძე, მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„შახტიორი“: ვოლკოვი, პოდლიხი, აშირბეკოვი, გერასიმენკო, ვალკოვი, კოტოვი, ჩენცოვი, ნოვიკოვი, აბგოლცი, დავიდი, სავჩენკო (ბუშუევი).

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

თასის მატჩებში ხუმრობა არ შეიძლება — ეს კანონია. ყველაზე სუსტი და უძლური გუნდიც კი სრულ მზადყოფნაში ხვდება ფავორიტებთან მატჩებს და ხშირად იმარჯვებს კიდეც. მაგრამ ყარაგანდის „შახტიორი“ თავისთავად არც სუსტი მეტოქეა და არც უძლური. გარდა ამისა, იგი წლეულს გაძლიერებულია ალმა-ათის რამდენიმე მოთამაშით და მიმდინარე თასის გათამაშება დაატოვებინა უმაღლესი ლიგის გუნდს — მინსკის „დინამოს“ (1:1, 1:0).

თბილისელებმა გაითვალისწინეს ეს გარემოება და სრული პასუხისმგებლობით ჩაატარეს მერვედფინალის პირველი მატჩი საკუთარ მინდორზე. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გუნდის თამაში პირველ ტაიმში: საუკეთესოდ მოქმედებდა თავდასხმის ორივე ფლანგი, იერიშებში ხშირად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ კვლავ დაიბრუნა შედეგიანი მოთამაშის საუკეთესო თვისებები ჩვენმა უძლიერესმა ბომბარდირმა გ. ნოდიამ. მისი ნეიტრალიზება სტუმრებისთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა. დინამოელთა ცენტრალური თავდამსხმელი განუწყვეტლივ მოძრაობს, იცვლის პოზიციას, ეძებს გზას მეტოქის კარის ასაღებად და, ამას გარდა, ბევრს და ნაყოფიერად თამაშობს შუა მინდორშიც. თუ გ. ნოდიამ ასეთი ტემპით „იარა“, იგი სულ მალე შევა გ. ფედოტოვის სახელობის „100-ანთა“ კლუბში, რომლის „საწევრო“ მან ბოლო ორ მატჩში უკვე 6 ბურთი შეიტანა.

„შახტიორის“ კარი უკვე მე-9 წუთზე აიღეს. ძოძუაშვილის, მაჩაიძისა და გ. ნოდიას ჩათამაშებული კომბინაციის შედეგად გ. ნოდია საკმაოდ ენერგ მდგომარეობაში აღმოჩნდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ოსტატურად გადაუგდო ბურთი კარიდან წინ გამოსულ ვოლკოვს — 1:0.

ხანგრძლივი, მწვავე იერიშების შემდეგ, 31-ე წუთზე, გ. ნოდიამ მიიღო მაჩაიძის თავური გადაცემა და მეორედ აიძულა ვოლკოვი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

მეორე ტაიმი სანახაობრივი თვალსაზრისით აც ჩამორჩებოდა პირველს და თბილისელთა თამაშიც გაუფერულდა. ნახევარდაცვაში მაჩაიძე ზედმეტად ატარებდა ბურთს, ლ. ნოდიამ მთლიანად ჩააბარა ინიციატივა თავის უშუალო დარაჯს, დაცვაში, განსაკუთრებით ფლანგებზე, ხშირი იყო შეცდომები. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყარაგანდელები კარგა ხანს სახიფათოდ უტევდნენ მასპინძელთა კარს, მაგრამ მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყდა 59-ე წუთზე, როცა გუცაევმა ორ მცველთან ბრძოლაში გაიმარჯვა, შეიჭრა საჯარიმო მოედანში და აქ ვოლკოვის სარმას „წამოეგო“. გ. ნოდიამ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 3:0.

• • •

მერვედფინალის საპასუხო მატჩი დინამოელებს ყარაგანდაში 16 მარტს აქვთ.

რ. ქორიძე.

## გასულ შაბათ-კვირას

გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი შეხვედრები.

საინტერესოდ ჩატარდა ლენინგრადის გუნდების — „ზენიტისა“ და „დინამოს“ მატჩი სოჭში. ზენიტელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს კოზმა და სადირინმა (პენალტი).

აქვე ითამაშეს მოსკოვის „სპარტაკმა“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“. სპარტაკელებს ძნელი გამარჯვება მოუტანა ჰუსაინოვის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა — 1:0.

გადათამაშდა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „კრილია სოვეტოვის“ მეთექვსმეტედფინალური მატჩი. გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ (3:0), რომელიც მერვედფინალში შეხვდება „ყაირათს“ (ალმა-ათა). ამ მატჩში გოლები გაიტანეს ზუდინმა, ჩესნოკოვმა და ტიმოფეევმა.

ოდესის „ჩერნომორეცმა“ შინ მიიღო ლვოვის „კარპატი“ და მოიგო თამაში — 1:0 (ზვენიგოროდსკი). ასეთივე ანგარიშით აჯობა სიმფეროპოლში კიევის „დინამომ“ როსტოვის არმიელებს. ჩემპიონს გამარჯვება მოუტანა მუნტიანის მიერ გატანილმა პენალტმა.

სოჭში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. გრებნევმა და სმირნოვმა 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს „დნეპრის“ კარში.

## ვეტერანის პრიზზე

გაიმართა შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების II ტურის მატჩები რესპუბლიკის „ა“ კლასის II ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ლესელიძეში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „დინამო“ და გორის „დილა“, ფოთში — ადგილობრივი „კოლხეთი“ და მახარაძის „მერცხალი“, ხოლო ოჩამჩირეში — ლ ნჩხუთის „გურია“ და სოხუმის „დინამო“. არც ერთ ამ შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვეტერანის სახელობის თასზე დღემდე ჩატარებულ ექვს მატჩში ბურთი არ გატანილა.

## უეფა-ს თასისთვის ბრძოლაში

ბუდაპეშტი, 11 მარტი. აქ გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ფერენცვაროში“ და სარაევოს „ჟელეზნიჩარი“.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს: მე-14 წუთზე ალბერტმა აიღო იუგოსლაველთა კარი. მაგრამ შესვენებამდე, 27-ე წუთზე, ბუკალმა საპასუხო ბურთი გაიტანა. 50-ე წუთზე სარეჩომ მასპინძელთა კარში მოათავსა ბურთი, რომელმაც გამარჯვება „ჟელეზნიჩარს“ მოუტანა — 2:1.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

# როცა ლიდერი მუდამ ადგილზეა



თბილისი. სპორტის სასახლე. 11 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 81:76 (38:39).

თბილისი: ქორქია (გუნდს შესძინა 22 ქულა), უგრეხელიძე (21), საკანდელიძე (16), სხიერელი (10), ვასიუტინსკი (6), ჩიხლაძე (2), ფიცხელაური (2), მალალაშვილი (2).

მოსკოვი: სიდიაკინი (17), სოკოლოვი (16), სოლოგუბი (15), ბოლოშევი (12), ავრაამოვი (6), ცინმანი (4), ბლიკი (4), ხარჩენკოვი (2).

მსაჯები — ი. ულიაშენკო და ი. გერასიმოვი (ორივე — ლენინგრადი).

დუბლიორები—83:55 (34:30).

ამ მატჩში იყო რამდენიმე საკვანძო მომენტი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ არც ერთ მათგანს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია თბილისელთა საბოლოო წარმატება. შესაძლოა ამის მიზეზი ბრძოლის ხასიათი იყო ან ცალკეულ მოთამაშეთა მორალური მზადყოფნის დონე. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსკოველებმა მთელი რიგი წარუმატებელი მატჩების შემდეგ რწმენა დაკარგეს და თბილისს უკვე შესაბამისი განწყობით ესტუმრნენ. ასეა თუ ისე, მატჩს წმინდა სპორტული ინტერესის გარდა გარკვეული სატურნირო მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან გამარჯვებულ კოლექტივს გზა ეხსნებოდა III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში.

თბილისელებმა, როგორც ვიტყობინებდით, ბრძოლა 5 ქულით მოიგეს. სხვაობა უფრო დიდიც შეიძლებოდა ყოფილიყო, გამარჯვებულს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა ბოლო წუთებში. ამ გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ სატურნირო იერარქიაში და მჭიდროდ დაუახლოვდა ერთ-ერთ საპრიზო ადგილს.

ბრძოლის მსვლელობა, მისი ხასიათი ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება გამოვხატოთ: თბილისელები მთელი მატჩის მანძილზე არც ერთხელ არ დარჩენილან ულიდეროდ, იმ დროს, როცა სტუმრებში ამ როლს წარმატებით მხოლოდ სიდიაკინი ასრულებდა. შეხვედრის დასაწყისში თავი გამოიჩინა ვასიუტინსკიმ, მაგრამ მან სულ მალე მიიღო ოთხი პერსონალური შენიშვნა და კარგა ხნით გამოეთიშა ბრძოლას. ვასიუტინსკი სხიერელმა შეცვალა და ახლა იგი ჩაუდგა სათავეში თბილისელთა შეტევებს. ლიდერის როლი მორიგეობით ნაწილდებოდა მოთამაშეთა შორის. სხიერელის შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო ქორქიამ, მერე უგრეხელიძემ, საკანდელიძემ და ასე შემდეგ. ლიდერთა მონაცვლეობა ბოლოს და ბოლოს იმდენად ბუნებრივი გახდა, რომ მოსკოველთათვის ფაქტიურად გადაუჭრელი დარჩა ერთი მთავარი პრობლემა: ვისზე უნდა გამახვილებულიყო ყურადღება და ვისი ნეიტრალიზება იყო მთავარი ბრძოლაში გარდატეხის შესატანად.

ამ მხრივ თბილისელები უფრო კონკრეტული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. უკვე პირველივე წუთიდან ცხადი გახდა, რომ სხვებზე მეტად მასპინძლების კალათს საშიშროებას სიდიაკინი უქმნიდა. ყურადღების ობიექტი ცნობილი იყო და მთელი ძალებიც მის „მოთოკვას“ მოხმარდა. სხვა საქმეა, რომ ამ ამოცანის გადაჭრა მასპინძლებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს: სიდიაკინი ბოლომდე დარჩა მოედანზე როგორც ყველაზე საშიში და აგრესიული ძალა.

საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე, ასე ვთქვათ, საფინიშო სწორზე გავიდა. გადამწყვეტი ბრძოლების წინ უკვე ბევრი რამ არის გარკვეული. მაგალითად, ეჭვს არ იწვევს ოქროს მედლების საკითხი — მთავარ ჯილდოს წლეულსაც ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი“ გაითამაშებენ. ცხადია ისიც, რომ III საპრიზო ადგილზე თანაბარ პრეტენზიას ერთბაშად ექვსი კოლექტივი აცხადებს. ისიც დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ აუტსაიდერთა პოზიციების დატოვება ერთობ გაუჭირდებათ თბილისის „ბურევესტნიკსა“ და ვილნიუსის „სტატიბას“. წინ არის ერთადერთი გადამწყვეტი წრე — 9 კალენდარული მატჩი, მაგრამ ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზები მოგველის?

ნ. ბუბუშვილი.

• • •

სურათზე: იერიში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### ორი მატჩი კიევში

10 და 11 მარტს კიევში გაიმართა ორი შეხვედრა.

ადგილობრივმა არმიელებმა მორიგი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში ტარტუს „კალევთან“ გამარჯვების შემდეგ — 78:67 (44:39).

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა „სტროიტელსა“ და ლენინგრადის „სპარტაკს“ შორის. ნევსპირელებმა დაამარცხეს მასპინძლები — 67:63 (47:32).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 16 | 1 | 1439—1183 | 16 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 17 | 16 | 1 | 1187—1059 | 16 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 17 | 8 | 9 | 1213—1169 | 8 |
| „დინამო“ (თბილისი) | 17 | 8 | 9 | 1302—1342 | 8 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 17 | 8 | 9 | 1217—1261 | 8 |
| ასკ (კიევი) | 17 | 8 | 9 | 1138—1228 | 8 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 17 | 7 | 10 | 1282—1267 | 7 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 18 | 7 | 11 | 1338—1340 | 7 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 18 | 4 | 14 | 1233—1429 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 17 | 4 | 13 | 1168—1249 | 4 |

## „იუგოპლასტიკა“ და „ინისი“ — ფინალში

სპლიტი. აქ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი: „იუგოპლასტიკა“ (სპლიტი)—„რეალი“ (მადრიდი). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 80:69. მართალია, პირველი მატჩი ესპანელებმა მოიგეს, მაგრამ 8-ქულიანი უპირატესობა უკმარი აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისთვის. ფინალში „იუგოპლასტიკა“ გავიდა.

ათენი. მეორე ფინალისტი გამოავლინა საბერძნეთის ჩემპიონის „პანათინაიკოსისა“ და ვარესეს „ინისის“ (იტალია) განმეორებითმა შეხვედრამ. პირველი მატჩი „პანათინაიკოსმა“ 14 ქულით წააგო, შინ კი გამარჯვება იზეიმა — 78:70. ცხადია, ფინალში „ინისი“ გავიდა.

### ზუგდიდი

აქ დამთავრდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა. ფრენბურთში ვაჟთა შორის I ადგილი დაისაკუთრა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის, III — ანაკლიის მეურნეობის წარმომადგენლები. ქალებში გაიმარჯვეს ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტსმენებმა. II-III ადგილები თანმიმდევრულად დაიკავეს ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ცაიშის კოლმეურნეობის ფრენბურთელებმა.

კ. ფიფია.

### ჩხოროწყუ

1-ლი საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა მოსწავლეთა რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა მასპინძელი სკოლის მოსწავლე ა. ქვარცხავამ. გოგონებში I ადგილზე გავიდა ლესიჭინის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე დ. ლაგვილავა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ადგილობრივი 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

ს. ჯალაღონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმშიც, ლენინგრადშიც...

ამას წინათ სოხუმსა და ლენინგრადში დამთავრდა „დინამოსა" და შეიარაღებული ძალების საკავშირო შეჯიბრებები ტყვიის სროლაში. საქართველოს სპორტსმენები სეზონის გახსნას კარგად მომზადებული შეხვდნენ.

სოხუმში ორი გამარჯვება მოიპოვა თბილისის დინამოელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა. „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგ გასროლაში მან 236, ხოლო 25 ორმაგ გასროლაში 234 ქულა მოაგროვა. უკანასკნელ ვარჯიშში ბოლო გასროლამდე 232 ქულით ლიდერობდა ესტონელი სპორტის ოსტატი მ. იიგი და გურამისთვის მხოლოდ ძალიან მაღალ შედეგს შეეძლო ბოლო სერიაში გამარჯვება მოეტანა. თავდიდიშვილმა ზუსტი სროლით 50-დან 49 ქულა მოაგროვა და ძლიერ მეტოქეს 2 ქულით გაუსწრო.

არმიული შაშხანით 300 მეტრზე (სტანდარტი 3×20) სროლაში საქართველოს რეკორდს (560 ქულა) ხუთი წლის განმავლობაში ფლობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი. და აი, ეს რეკორდი გააუმჯობესა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ლ. ოსტრიკოვმა, რომელმაც 564 ქულა მოაგროვა (14 ქულით აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს). რეკორდსმენმა II ადგილი დაიკავა — ლენინგრადელ ი. ორლოვს ქულით ჩამორჩა.

ლენინგრადში თავი ისახელეს თბილისის არმიის სპორტული კლუბის პისტოლეტით მსროლელებმა. 22 გუნდს შორის გუნდურ ჩათვლაში რათ III ადგილი დაიკავეს. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სწრაფსროლაში (20+20+20) გაიმარჯვა შეიარაღებული ძალების ორგზის ჩემპიონმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა თ. კუდრიავცევამ (558 ქულა). ვაჟთა შორის ამავე ვარჯიშში სპორტის ოსტატობის კანდიდატმა რ. მარქარიანმა II ადგილი დაიკავა — 563 ქულა. მანვე დიდ წარმატებას მიაღწია პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრზე დგომელა სროლაში — 382 ქულა. მარქარიანმა პირველობაც მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ქალებიდან ქების ღირსია სპორტის ოსტატობის კანდიდატი ტ. კაზარიანი, რომელმაც ამავე იარაღით სროლაში სპორტის ოსტატის ნორმატივს 2 ქულით გადააჭარბა.

რ. კაცობაშვილი.

### მაიაკოვსკი

აქ დამთავრდა რაიონის 13 საშუალო სკოლის ნორჩ მოჭადრაკეთა შეჯიბრება. გუნდურ ტურნირში გაიმარჯვა ე. ნინოშვილის სახელობის სკოლის კოლექტივმა. II ადგილზეა წითელხევის, III — დიმის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდი. ვაჟთა შორის I ადგილი დაიკავეს — პირველ დაფაზე ტ. გრძელიძემ (წითელხევი), მეორეზე — ფხალაძემ (დიმი), მესამეზე — ს. გოგსაძემ (ნინოშვილის სახელობის სკოლა); გოგონათა შორის პირველ დაფაზე ე. გოგსაძემ. მეორე დაფაზე ქულების თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს ბ. გოგსაძემ (ორივე —ნინოშვილის სახელობის სკოლა), თ. გრძელიძემ (წითელხევი) და ლ. დოგრაშვილმა (ხევანი). დაკომპლექტდა რაიონის მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც 24-ე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ითამაშებს.

რ. ენდელაძე,
რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.



# რეკორდები

ჩელიაბინსკი, 11 მარტი. წყალქვეშ ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველივე დღე 5 მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. მოსკოველმა ვლადიმერ კონმა 100 მ ფარფლებით 40,6 წამში დაფარა, ხოლო 40 მეტრზე ყვინთვაში 13,1 წამი აჩვენა. კრასნოიარსკელმა ვლადიმერ კუცმა 800 მ აკვალანგით 7 წუთსა და 16 წამში გაცურა. 16 წლის ტომსკელმა მოსწავლემ ი. ავდეევამ წარმატებას 25 მეტრზე ყვინთვაში მიაღწია — 9,3 წამი.

მეხუთე მსოფლიო რეკორდი 4×100 მეტრზე ესტაფეტაში დამყარდა. ნოვოსიბირსკელებმა ლ. ლიტვინოვამ, ნ. რაზდოროსკაიამ, ს. ვალოვაიამ და ნ. სალმინამ ეს მანძილი 3 წუთსა და 29,9 წამში დაფარეს.

• • •

სტოკჰოლმი, 12 მარტი. შვეციის დედაქალაქში დიდი წარმატებით იასპარეზა საბჭოთა ძალოსანმა ზ. პავლოვამ (საშუალო წონა): მან მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა — 198 კგ აჰკრა, სამჭიდის ჯამში კი 512,5 კგ დააგროვა.

რეკორდები

## ხელბურთი

# ძმობილები

თბილისი. სპორტის სასახლე. 12 მარტი.

თბილისი (ნაკრები) — ლიუბლიანა (ნაკრები) 30:25 (13:13).

თბილისი: ხუციშვილი, კომახიძე, გ. ბერიაშვილი (კაპიტანი 8 გოლი), დვალიშვილი, ფხაკაძე (5-5), ექსეულიძე, ნარიმანიძე (3-3), ბუნაძე, ქუონია, ვ. ბერიაშვილი (2-2), სხიერელი, ფხალაძე, ანპილოგოვი.

ლიუბლიანა: შინკოვეცი, პირცი, პეჩავერი, პოჩერვინა (ამ ორმა უკანასკნელმა 5-5 ბურთი გაიტანა), ერასი (4), პენკო (3), ჯაკიჩი, ლევოვნიკი, კოსა, ბუჩუკი (2-2), ტრუნკლი, ივაჩიჩი, არტნაკი.

მსაჯები—ვ. ელგუჯაური და გ. ძაგანია (ორივე — თბილისი).

იუგოსლავიისა და საქართველოს ხელბურთელებს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებთ, შარშან კი სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანასთან საქართველოს დედაქალაქი დაძმობილდა. მათი სპორტულ მეგობრობას საძირკველი შემოდგომით ჩაეყარა, როცა ლიუბლიანას თბილისელი ხელბურთელები ესტუმრნენ. და აი, ახლა იუგოსლაველები საპასუხო ვიზიტით თბილისს ეწვივნენ.

პირველ მატჩში მასპინძელთა უპირატესობა საგრძნობი იყო: მათ ეს შეხვედრა ოლად მოიგეს. თუმცა, სტუმრებმა შეძლეს მდგომარეობის გაწონასწორებაც (პირველი ტაიმის ბოლოს) და დაწინაურებაც (მეორე ტაიმის მე-10 წუთზე ანგარიში 20:18 იყო მათს სასარგებლოდ).

როგორც იცით, თბილისელმა ხელბურთელებმა ამას წინათ წარმატებით იასპარეზეს მოსკოვში, ზამთრის საკავშირო ტურნირში. იქ მძიმედ დაშავდა ჩვენი გუნდის მთავარი იმედი ჯ. ცერცვაძე და ამის გამო ახლა მოედანზე ვერ ვიხილეთ. მიუხედავად ამისა, გუნდმა მაინც შეძლო მატჩის მოგება. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გუნდი გაცილებით უკეთ თამაშობდა იერიშის დროს, დაცვაში კი ერთსაც და მეორესაც ბევრი ხარვეზი ჰქონდა. უპირველესად სწორედ დაცვაში სუსტი თამაშის შედეგია, რომ ამ მატჩში ძალიან ბევრი ბურთი გავიდა — 55. როგორც ხედავთ, თითქმის ყოველ წუთს ხან ერთი, ხან მეორე გუნდი ცენტრიდან იწყებდა თამაშს. მიზეზი ის გახლავთ, რომ სტუმრებმაც და მასპინძლებმაც კარგა ხანს შესვენების შემდეგ პირველად მოსინჯეს ძალა საპასუხისმგებლო შეხვედრაში.

ორივე გუნდს ახლო მომავალში საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში მოუწევს მონაწილეობა. ცხადია, ახლანდელი მატჩები, როგორც თბილისელებისთვის, ისე ლიუბლიანელებისთვის თავისებურ რეპეტიციად შეიძლება ჩაითვალოს.

14 მარტს სპორტის სასახლეში მეგობრები განმეორებით მატჩს გამართავენ, მერე სოხუმს გაემგზავრებიან და იქ კიდევ ერთი შეხვედრა ექნებათ.

ჯ. ენუქიძე.

• • •

სურათზე: მატჩის მომენტი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

# ასე ფიქრობს „კიკერი"

დასავლეთგერმანულმა სპორტულმა ჟურნალმა „კიკერმა" გამოაქვეყნა თავისი ქვეყნის ფეხბურთელთა საინტერესო კლასიფიკაცია.

ჟურნალის მიმომხილველის აზრით, ორი ფეხბურთელი შეიძლება მიეკუთვნოს მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავთა რიცხვს. ესენი არიან ფ. ბეკენბაუერი და გ. მიულერი. „საერთაშორისო კლასის" ოსტატებს მიმომხილველი აკუთვნებს მეკარე მაიერს, მცველებს ფოგტსს, შვარცენბეკს, ჰიოტგესს, ფიხტელს, ვებერს, ლ. მიულერს, ნახევარმცველებს ნეცერს, ოვერატს, ვიმერს, თავდამსხმელებს კიუპელს, ჰოენესს, გრაბოვსკის და ჰაინკესს.

# მოკლედ

● მილანი. იტალიის ჩემპიონატის ამასწინანდელმა ცენტრალურმა შეხვედრამ „ინტერნაციონალესა" და „იუვენტუსს" შორის მილანის „სან სიროს" სტადიონზე 83 ათასი მაყურებელი მიიზიდა. სტადიონმა სარეკორდო შემოსავალი მიიღო — 197 642 000 ლირა. ასეთი თანხა იტალიის ჩემპიონატის არც ერთ მატჩს არ მოუტანია.

● ლონდონი. ინგლისის ფედერაციამ დაასახელა ფ. მაკლინტოკი, ამ ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელის — ლონდონის „არსენალის" კაპიტანი.

● ჰამბურგი. უ. ზეელერმა, რომელიც ამ მოკლე ხანში გამოეთხოვება ფეხბურთს, მიწვევა მიიღო თავისი ქალაქის ტელევიზიიდან. მას სთხოვენ კომენტარი გაუკეთოს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს.

● პორტო ალეგრე. ადგილობრივ ბრაზილიურ კლუბ „გრემიოს" სათავეში ჩაუდგა ცნობილი მწვრთნელი ო. გლორია, რომელიც წლების განმავლობაში ევროპაში მოღვაწეობდა.

# უცხოეთის ფეხბურთის ველებზე

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ინგლისი

შაბათს „ლიდს იუნაიტედმა" შინ მოუგო „კოვენტრის" — 1:0. ამ ერთადერთი გოლის ავტორი იყო ცენტრალური მცველი ჯ. ჩარლტონი, რომელმაც მე-600 მატჩი ჩაატარა თავისი კლუბის შემადგენლობაში.

„დერბი ქაუნთიმ" ლონდონში აჯობა ადგილობრივ „ტოტენჰემ ჰოტსპურს" — 1:0.

ლივერპულში გათამაშების ლიდერმა „მანჩესტერ-სიტიმ" მოუგო ადგილობრივ „ევერტონს" — 2:1.

4 დეკემბრის შემდეგ პირველად გაიმარჯვა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელმაც შინ აჯობა „ჰადერსფილდ თაუნს" — 2:0.

„ნიუკასლ იუნაიტედმა" თავის მინდორზე სძლია ლონდონის „არსენალს" — 2:0.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ-სიტი" | 33 | 65:36 | 47 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 31 | 52:22 | 43 |
| „დერბი ქაუნთი" | 31 | 53:29 | 42 |

### შოტლანდია

აბერდინში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ადგილობრივი „აბერდინი" და გლაზგოს „სელტიკი". გლაზგოელმა ლენოქსმა 70-ე წუთზე ანგარიში გახსნა, მაგრამ მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰარპერმა მატჩის მიწურულს საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

„გლაზგო რეინჯერსმა" შინ მოუგო „სენტ-ჯონსტონს" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 26 | 76:19 | 47 |
| „აბერდინი" | 27 | 68:22 | 42 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 27 | 58:25 | 40 |

### გფრ

გათამაშების ლიდერმა — გელზენკირხენის „შალკე 04"-მა დორტმუნდში მოუგო ადგილობრივ „ბორუსიას" — 3:0. მიუნხენის „ბაიერნმა" შინ დაამარცხა „კაიზერსლაუტერნი" (3:1), ხოლო „ჰანოვერ 96"-მა ასევე თავის მინდორზე აჯობა ქვეყნის ჩემპიონს — მენჰენგლადბახის „ბორუსიას" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „შალკე 04" | 23 | 51:16 | 38 |
| „ბაიერნი" | 23 | 62:22 | 35 |
| „ბორუსია" (მენჰენგლ.) | 23 | 56:27 | 31 |

### გდრ

ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა სენსაციით დამთავრდა: „მაგდებურგმა" შინ მოუგო იენის „კარლ ცაისს" — 5:0!

დრეზდენის „დინამოსა" და „ჰემის" შეხვედრაში მასპინძლებმა ასევე დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:1. სამი ბურთი გაიტანა დრეზდენელთა ნახევარმცველმა კრაიშემ და 10 გოლით სათავეში ჩაუდგა სნაიპერთა სიას. აბრაჰამი („მაგდებურგი") 9 გოლით მეორეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მაგდებურგი" | 18 | 35:19 | 24 |
| „დინამო" (ბერლინი) | 18 | 23:13 | 23 |
| „კარლ ცაისი" | 18 | 28:20 | 22 |

### საფრანგეთი

ჩემპიონატის ლიდერმა — მარსელის „ოლიმპიკმა" ჟუეკუსა და სკობლარის ბურთების წყალობით 2 ქულა აართვა „ლილს" — 2:0. „ნანტმა" ასეთივე ანგარიშით მოუგო „სოშოს", ხოლო ნიმის „ოლიმპიკმა" და „მეცმა" ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი" (მარსელი) | 26 | 55:24 | 38 |
| „ოლიმპიკი" (ნიმი) | 26 | 51:23 | 34 |
| „ნანტი" | 26 | 53:34 | 31 |

### ესპანეთი

ბილბაოში უაღრესი დაძაბულობით აღინიშნა ადგილობრივი „ატლეტიკოსა" და გათამაშების ლიდერის — მადრიდის „რეალის" შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. ბასკმა ურიარტემ ეს ერთადერთი გოლი შესვენების შემდეგ გაიტანა.

„ბარსელონამ" შინ სძლია ვიგოს „სელტას" (2:1), ხოლო „ვალენსიამ" ფრედ ითამაშა „საბადელთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 24 | 35:16 | 35 |
| „ვალენსია" | 24 | 36:20 | 30 |
| „ბარსელონა" | 24 | 30:19 | 30 |

### უნგრეთი

ბუდაპეშტში ადგილობრივმა „ფერენცვაროშმა" ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ეგერი". „უიპეშტ დოჟამ" მოუგო დიერის „რაბა ეტოს" — 3:1. ორი გოლი გაიტანა „უიპეშტ დოჟას" თავდამსხმელმა ფაზეკაშმა, რომელიც 18 გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას. მისი თანაგუნდელი ბენე 16 გოლით მეორეა, ხოლო სეკე („ფერენცვაროში") 12 გოლით — მესამე.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა" | 16 | 47:15 | 26 |
| „ფერენცვაროში" | 16 | 38:16 | 22 |
| „შალგოტარიანი" | 16 | 28:16 | 22 |

### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა" ასტრონომიული ანგარიშით (7:0) მოუგო „გრონინგენს". „ამსტერდამმა" ასევე გაანადგურა „უტრეხტი" — 8:1. ჰააგაში აგრეთვე დიდი ანგარიშით სძლია როტერდამის „სპარტამ" ადგილობრივ „დენ ჰაგს" — 7:1.

როტერდამის „ფეიენოორდმა" შინ მოუგო დევენტერის „გო ეჰედს" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 23 | 61:13 | 43 |
| „ფეიენოორდი" | 23 | 49:11 | 39 |
| „სპარტა" | 23 | 54:24 | 32 |

### ბელგია

ლიეჟში სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფმა გუნდებმა — ადგილობრივმა „სტანდარდმა" და „ბრიუგემ" მეტად დაძაბულ შეხვედრაში თითო ქულა მოიპოვეს — 0:0. ბრიუსელის „ანდერლეხტმა" შინ დაამარცხა „კროსინგი" — 5:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუგე" | 23 | 48:16 | 37 |
| „სტანდარდი" | 23 | 40:13 | 34 |
| „ანდერლეხტი" | 23 | 49:21 | 32 |

### ბულგარეთი

გათამაშების ლიდერმა — სოფიის „ცსკა-სეპტემვრიისკო ზნამეს" საკუთარ მინდორზე მოუგო ვარნის „ჩერნო მორეს" — 2:1. სოფიაშივე ადგილობრივი გუნდების — „აკადემიკისა" და „ლევსკი-სპარტაკის" შეხვედრა „აკადემიკის" გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ცსკა-სეპ. ზნამე" | 18 | 38:14 | 30 |
| „ლევსკი-სპარტაკი" | 18 | 35:14 | 25 |
| „ბეროე" | 18 | 36:26 | 24 |

### შვეიცარია

ჩემპიონატის XIV ტურში „ლიუცერნმა" თავის მინდორზე აჯობა „გრასჰოპერსს" — 2:1. „ციურიხმა" შინ წააგო „ლუგანოსთან" — 0:1. „ბაზელმა", რომელიც ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობს, სტუმრად სძლია „გრენჰენს" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ციურიხი" | 14 | 31:14 | 23 |
| „ბაზელი" | 14 | 32:17 | 22 |
| „გრასჰოპერსი" | 14 | 28:14 | 20 |

(საქ. ინფ.).

# თბილისი სპორტულ ზეიმზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. 14 მარტი. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი). დასაწყისი 20 ს. (სათადარიგო შემადგენლობანი 18 საათზე — ლენინის სახელობის დარბაზში).

ხელბურთი. სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა. 14 მარტი. თბილისი (ნაკრები) — ლიუბლიანა (ნაკრები). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04473